


სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/6866; 02.03.2023 წერილში მოცემულ შენიშვნებზე პასუხის ცხრილი

N	კომენტარი	პასუხი
1	<p>N21/1402 წერილში მითითებულ საკითხზე, გზშ-ის ანგარიშს დართულ შენიშვნებზე პასუხის ცხრილში მითითებულია, რომ „პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ საკანალიზაციო ქსელის და ჭების დემონტაჟს, თუმცა გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, მათ შორის, დოკუმენტის 3.2. თავში აღნიშნულია, რომ „გამწმენდი ნაგებობის მოწყობა შედგება რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან და მოიცავს ჩამდინარე წყლის არსებული გამწმენდი ნაგებობის დაშლა/დანგრევას და ნარჩენების გატანას“, ამასთან, 7.3.1. ქვეთავში მითითებულია, რომ ხმაურის მონიტორინგი განხორციელდება ინტენსიური სამშენებლო სამუშაოების (მათ შორის არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის) დროს. არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის საკითხი აგრეთვე ნახსენებია გზშ-ის ანგარიშის მე-7 თავის სხვადასხვა ნაწილში და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში. ხოლო დოკუმენტის 3.8. თავში აღნიშნულია, რომ „გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია სრულიად თავისუფალია ნარჩენებისგან, არ შეინიშნება ძველი ინფრასტრუქტურა. ამდენად ტერიტორიაზე სადემონტაჟო სამუშაოები არ შესრულდება“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია. როგორც გზშ-ის ანგარიშის 3.8 თავშია მოცემული, გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია სრულიად თავისუფალია ნარჩენებისგან, არ შეინიშნება ძველი ინფრასტრუქტურა.</p> <p>პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ საკანალიზაციო ქსელის და ჭების დემონტაჟს. რაც შეეხება არსებული გამწმენდის დემონტაჟს, ანგარიშში მოცემული იყო უზუსტობა, რაც დაკორექტირდა მე-7 თავში.</p>
2	<p>გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია „განთავსებულ იქნა ასევე დაბა ქედაში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე“, რაც საჭიროებს კორექტირებას.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის მე-10 თავი.</p>
3	<p>დოკუმენტის თანახმად, N1 და N2 გამწმენდი ნაგებობასთან დაკავშირებული ტერიტორიების სქემა წარმოდგენილია 3.1.2. ნახაზზე, თუმცა, აღნიშნულ ნახაზზე დატანილია მხოლოდ N1 ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული ტერიტორიების სქემა;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის 3.1 თავი.</p>
4	<p>გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 3.2.5.1 მოცემული ინფორმაციის თანახმად, CW უჯრედების ქვაბულის ფსკერის მოპირკეთება მოხდება 20 სმ თიხით ან გეომემბრანით, ხოლო 3.6 ქვეთავის თანახმად, განხორციელდება გეომემბრანის (ჰიდროსაიზოლაციო ფენა) მოწყობა. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ფსკერის მოპირკეთების საკითხი;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშში ცხრილი 3.2.5.1.</p>
5	<p>ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცლის მე-2 დანართიდან ამოსაღებია მე-2 პუნქტი;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ ზდჩ ნორმების პროექტის სატიტულო გვერდი.</p>

6	ზღწ ნორმების პროექტის სატიტულო ფურცლის მე-3 დანართში საწარმოს დასახელების პუნქტში მითითებულია „დაბა ხულოს საკანალიზაციო (სამეურნეო-საყოფაცხოვრებო) ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რაც საჭიროებს კორექტირებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ ზღწ ნორმების პროექტის სატიტულო გვერდი.
7	გზმ-ის ანგარიშში ცხრილი 3.3.2 ცხრილსა და ზღწ-ის ნორმების პროექტის 4.2.5.2. ცხრილში წარმოდგენილი დაბინძურების დატვირთვის მაჩვენებლები საჭიროებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;	შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ გზმ-ის ანგარიშის 3.3.2. ცხრილი და ზღწ ანგარიშში 4.2.5.2. ცხრილი.
8	გზმ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას არ შეესაბამება და დაზუსტებას საჭიროებს ზღწ-ის ნორმების პროექტში წარმოდგენილი, ექსპლუატაციის ეტაპზე მოხმარებული წყლის, აგრეთვე ჩამდინარე სამეურნეო-ფეკალური წყლის მოცულობები;	შენიშვნა გათვალისწინებულია. ზღწ ნორმების პროექტში მე-5 თავი შესწორდა გზმ-ის ანგარიშის 3.7 თავის შესაბამისად.
9	გზმ-ის ანგარიშში 10.1. ცხრილის სათაურში მოცემული ჩანაწერი -„რეაგირება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N44 (02.08.2022) სკოპინგის დასკვნით“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან N44 სკოპინგის დასკვნა გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. ამასთან, დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ მითითებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რაც საჭიროებს კორექტირებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. 10.1 ცხრილის სათაური.
10	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/6866; 11.11.2022 წერილში მოცემულ შენიშვნებზე პასუხის ცხრილში მითითებულია, რომ CW უჯრედებზე არ არის გათვალისწინებული მიწისზედა მილსადენი, თუმცა გზმ-ის ანგარიშის 3.2.5.1. ნახაზზე (გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმა) დატანილია მიწისზედა მილსადენი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	<p>3.2.5.1 ნახაზზე დატანილი აღნიშვნა</p>  <p>მოცემულია ფეკალური ლამის მიმღებ კამერასა და სალამე მოედნებს შორის, ასევე სალამე მოედნებზე.</p> <p>კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ CW უჯრედებზე არ არის გათვალისწინებული მიწისზედა მილსადენი (CW უჯრედებზე წარმოდგენილია ჩვეულებრივი ტიხრები).</p> <p>რაც შეეხება სალამე მოედნებსა და ლამის მიმღებ კამერას შორის განთავსებულ მიწისზედა მილსადენს, აღნიშნული მილსადენი დაკონკრეტდა 3.4 თავში (ლამის მართვა), ღია მილსადენით, ლამიდან წყლის მოცილება ხდება დეკანტაციის ეტაპზე.</p>

11	<p>დოკუმენტში მითითებული საკადასტრო კოდით 24.02.32.063.026 ვერ ხერხდება საპროექტო ტერიტორიის იდენტიფიცირება. ამასთან, წარმოდგენილი shp ფაილების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია ვრცელდება სხვადასხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ რამდენიმე მიწის ნაკვეთზე, რაც ასახული არ არის გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში და საჭიროებს კორექტირებას. გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ყველა ნაკვეთის საკადასტრო კოდი, ამასთან, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი წარმოდგენილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობის შესაბამისად. გზშ-ის ანგარიშში,</p>	<p>გაცნობებთ, რომ 2023 წლის 25 იანვარს მოხდა აღნიშნული ნაკვეთის გამჯვნა რამდენიმე ნაკვეთად და ინფორმაცია წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშის მე-5 დანართში.</p>
12	<p>5.3.2. ქვეთავში წარმოდგენილი აჭარის რეგიონის გეოლოგიური რუკა (ნახაზი 5.3.2.1.) და 5.3.3. ქვეთავში წარმოდგენილი სეისმური საშიშროების რუკა არ შეესაბამება საპროექტო ტერიტორიას და საჭიროებს კორექტირებას;</p>	<p>შენიშვნები გათვალისწინებულია. იხ. 5.3.2.1. და 5.3.3.1 ნახაზები</p>
13	<p>გზშ-ის ანგარიშის 7.1.2.5 ქვეთავში (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები) წარმოდგენილ ცხრილში მითითებულია, რომ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული 8 ერთეული სალამე მოედნის ფართობია 1000 მ2, რაც არ შეესაბამება 3.2.5 ქვეთავში წარმოდგენილ, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და ლამის გამწმენდი უბნის ძირითად პარამეტრებს (ცხრილი 3.2.5.1.) და საჭიროებს დაზუსტებას; აღნიშნული საკითხი საჭიროებს გათვალისწინებას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ნორმების პროექტშიც;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. ცხრილი 3.2.5.1</p>
14	<p>გზშ-ის ანგარიშს დართული ზღწ ნორმატივების მატერიალური და ელექტრონულად წარმოდგენილი ვერსიები არ შეესაბამება ერთმანეთს და საჭიროებს კორექტირებას;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია.</p>
15	<p>დაზუსტებას საჭიროებს პროექტის განხორციელების ვადები და გრაფიკი;</p>	<p>როგორც გზშ-ის ანგარიშის 3.6 თავშია მოცემული, „შუახვევის კლიმატური პირობების გათვალისწინებით სამშენებლო სამუშაოები შესრულდება შეუძლებელია 2 წელზე ნაკლებ დროში“. შესაბამისად, პროექტის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 2 წლის განმავლობაში, თუმცა, ზამთრის პირობებში სამუშაოები წარმოება შეუძლებელია. ამიტომ, წლის განმავლობაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადად აღებულია 200 სამუშაო დღე, დაახლოებით 6 თვე, ხოლო 6 თვის განმავლობაში (სავარაუდოდ ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით, სამუშაოების წარმოება შეუძლებელი იქნება).</p>

16	<p>დოკუმენტის 3.7. ქვეთავში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ფორმულით მოხდა მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული და ჩამდინარე წყლების მოცულობების გამოთვლა;</p>	<p>აღნიშული ინფორმაცია შეესაბამება „კომუნალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესებს“ - СНиП 2.04.03-85. აქვე გაცნობებთ, რომ, აღნიშნული წესები „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების , წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების შესაბამისად, ძალაშია</p>
17	<p>გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ დღეისათვის, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 1077 სულს, საიდანაც 877 დაკავშირებული იქნება N1 გამწმენდთან, ხოლო 200 - N2 გამწმენდთან, დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ 2014 წლიდან მოსახლეობა მუდმივად მცირდება (-1,0% წელიწადში) ხოლო გზშ-ის ანგარიშის 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავების თანახმად, 2014 წლის აღწერის მიხედვით, შუახევის მოსახლეობა 797 კაცს შეადგენს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორც მოხდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის შეფასება და როგორ იქნა მიღებული ციფრი 1077;</p>	<p>შუახევის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის შემცირების ტენდენცია კარგად ჩანს 5.7.1.1. ცხრილში (გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში მოცემულია არა მხოლოდ დაბა შუახევის, არამედ მთლიანად, შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა). რაც შეეხება 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავებში მოცემულ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცებული „მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგიის“ თანახმად. საყოველთაო აღწერის ეტაპზე, ის მოქალაქეები, რომლებიც ფაქტობრივად არ ცხოვრობენ იურიდიულ მისამართზე (მაგ. ემიგრანტები, მოსახლეობა რომელიც საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქალაქში, მაგ ბათუმში, თბილისში და ა. შ.) ვერ აისახებოდა საყოველთაო აღწერის შედეგებში. ციფრი 1077, მოწოდებული იქნა მუნიციპალიტეტის მიერ. ვინაიდან გამწმენდი ნაგებობა გათვლილია ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის, დაბა შუახევიდან მიგრირებული მოსახლეობა ვერ იქნებოდა უგულვებელყოფილი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საყოველთაო აღრიცხვის და ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში</p>

		<p>მოსახლეობის რაოდენობის განსზღვრის მიზანი რადიკალურად განსხვავდება საპროექტო გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შერჩევისთვის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის მიზნებისგან.</p> <p>ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავებში მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტების მიზანი, ასევე რადიკალურად განსხვავდება ზემოთ აღნიშნულისგან, კერძოდ, აღნიშნულ თავებში, მოსახლეობის რაოდენობის ცოდნა საჭიროა ემისიების ანგარიშში ფონური მონაცემების დაზუსტებისთვის. მოქმედი კანონის მიხედვით, ტერიტორიებზე, სადაც მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 10 000 მოსახლეს, ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების დონე ნულის ტოლია. შემდგომში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია შეიცვალა შემდეგი ჩანაწერით: „ნაკლებია 10 000 ადამიანზე“. იხ. 7.1.1.6 და 7.1.2.6. ქვეთავები.</p>
18	დოკუმენტის მე-2 ნაწილში „გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები“ წარმოდგენილი ცხრილი საჭიროებს შესაბამის კორექტირებას/განახლებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. გზშ-ის ანგარიშის მე-2 თავი
19	გზშ-ის ანგარიშის 112-ე გვერდზე და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების მე-11 გვერდზე წარმოდგენილი ცხრილები არ შეესაბამება საპროექტო გამწმენდი ნაგებობას და საჭიროებს კორექტირებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. ზდგ-ს ნორმების პროექტის მე-11 გვერდი.
20	ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი ცხრილის სახით, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული ინფორმაცია და გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის უშუალო ქვეთავ(ებ)ი.	გათვალისწინებულია, შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილში.